თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის

სხდომის ოქმი №3

თბილისი, 11 აგვისტო, 2021 წ.

ქვეყანაში არსებული კორონავირუსის გავრცელების საფრთხეებიდან გამომდინარე, უწყებათაშორისი კომისიის სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის 11 აგვისტოს სხდომა გაიმართა ონლაინ რეჟიმში.

სხდომა დაიწყო 16:03 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრი რატი ბრეგაძე;
- კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე თორნიკე ჭეიშვილი;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ცოტნე ყავლაშვილი;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე გრიგოლ გიორგაძე;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;
- ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გიორგი სანტურიანი;
- კომისიის მდივანი – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი მანანა ბეგიაშვილი;

დებულებით გათვალისწინებულ წევრთა ნაცვლად კომისიის წევრი უწყებებიდან სხდომაზე დასასწრებად წარმოდგენილნი იყვნენ:

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;

- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ადმინისტრაციის უფროსი ნანა ბერიძე;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ეკატერინე მეშველიანი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიების ხარისხის მონიტორინგის რეგიონული სამმართველოს უფროსი გოგა რაზმაძე;
- საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე თეა ლეკვეიშვილი;
- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- თორნიკე არჯევანიძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი;
- ნათია თევზაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა რატი ბრეგაძემ, სხდომა გახსნა 16:03 საათზე. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2021 წლის 29 ივნისის №728 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სხდომის უფლებამოსილებისათვის საჭირო კვორუმის არსებობის დადასტურების შემდგომ თავმჯდომარემ კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის გახსნა.
2. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის ინფორმაცია საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის პროცესის თაობაზე.
3. კომისიის წევრების მოსმენა მედიამონიტორინგის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე რეაგირების შესახებ.
4. სხვადასხვა.

ბატონმა რატიმ საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციის თაობაზე ინფორმაციის წარმოსადგენად სიტყვა გადასცა ცესკო-ს წარმომადგენელს, ბატონ გიორგი სანტურიანს.

ბატონი გიორგი სანტურიანის განცხადებით, რამდენადაც საარჩევნო კანონმდებლობა ითვალისწინებს პოლიტიკური პარტიებისა და საინიციატივო ჯგუფებისთვის სარეგისტრაციო მომართვის განსხვავებულ ვადებს, იმ პარტიებისთვის, რომლებიც ახლა რეგისტრირდებიან, მომართვის ვადა დასრულდა 15 ივლისს, ხოლო იმ პარტიებისთვის, რომელთაც რეგისტრაციისთვის მომართვის მომენტისთვის ჰყავდათ წარმომადგენელი საქართველოს პარლამენტში ან ისინი რეგისტრირებულნი იყვნენ საპარლამენტო არჩევნებისას, მომართვის ვადა დასრულდა 6 აგვისტოს, კენჭისყრამდე არაუგვიანეს 57-ე დღისა. რაც შეეხება საინიციატივო ჯგუფებს, მათთვის მომართვის ვადა ჯერ არ ამოწურულა და შესაძლებლობა აქვთ, თბილისის მერობის კანდიდატის შემთხვევაში მიმართონ ცესკო-ს, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის შემთხვევაში, როგორც მაჟორიტარული წესით ასარჩევი კანდიდატების, ისე მერობის კანდიდატების შემთხვევაში, მიმართონ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიებს. მათთვის ბოლო ვადა იქნება 16 აგვისტო.

ცესკო-ს წარმომადგენლის თქმით, ამ ეტაპისთვის რეგისტრირებულია 50 პარტია; რეგისტრაციაზე უარი ეთქვა სულ 4 პოლიტიკურ გაერთიანებას; აქედან 1 შემთხვევაში არ არის წარმოდგენილი მხარდამჭერი ამომრჩევლების ხელმოწერები, 1 შემთხვევაში მომართვის ვადა იყო გასული, 1 შემთხვევაში პირადი განცხადებით თქვეს უარი რეგისტრაციასა და არჩევნებში მონაწილეობაზე, 1 შემთხვევაში კი, რეგისტრაციაზე უარის თქმის მიზეზი გახდა ხარვეზის გამოუსწორებლობა. რაც შეეხება საინიციატივო ჯგუფებს, ამ ეტაპისთვის ცესკო-ში თბილისის მერობის კანდიდატის წარდგენის მიზნით სულ რეგისტრირებულია 2 საინიციატივო ჯგუფი, 1 საინიციატივო ჯგუფის რეგისტრაცია კი ჯერ კიდევ პროცესშია.

კომისიის თავმჯდომარემ შეკითხვით მიმართა ცესკო-ს წარმომადგენელს, ზემოაღნიშნულ შემთხვევაში თუ არსებობდა რეგისტრაციისთვის განსხვავებული პირობები საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით და, საერთო ჯამში, რამდენ პარტიას დასჭირდა ამომრჩეველთა ხელმოწერების წარმოდგენა რეგისტრაციისთვის.

ბატონი გიორგის პასუხის თანახმად, მნიშვნელოვან განსხვავებულ პირობას წარმოადგენდა ის, რომ საპარლამენტო არჩევნებზე რეგისტრირებულ პარტიას (ან პარტიას თუ ჰყავდა დეპუტატი საქართველოს პარლამენტში) აღარ სჭირდებოდა დამატებითი სარეგისტრაციო პროცედურების გავლა (მაგალითად, მხარდამჭერთა ხელმოწერების წარმოდგენა და ა.შ.). ამ შემთხვევაში პარტიის ხელმძღვანელი განცხადებით და შესაბამისი დოკუმენტაციით მიმართავდა ცესკო-ს. რაც შეეხება იმ პარტიათა რაოდენობას, რომელთაც ცესკო-ში ამომრჩეველთა ხელმოწერების წარმოდგენა დასჭირდათ, ბატონი გიორგის თქმით, ასეთი იყო 12.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდგომ საკითხზე (მედიამონიტორინგის შედეგად მიღებული ინფორმაცია) სასაუბროდ კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს.

ბატონმა ნიკოლოზმა ტელეკომპანია „პირველზე" გასული სიუჟეტის თაობაზე სამოქალაქო აქტივისტ ზაზა მეხრიშვილის ცემაში ხაშურის საკრებულოს თავმჯდომარის დადანაშაულებასთან დაკავშირებით წარმოადგინა მუნიციპალიტეტიდან მიღებული

განმარტება, რომლის თანახმად, ზემოაღნიშნულ ინფორმაციაში ფაქტები სწორად არ იყო გადმოცემული. მუნიციპალიტეტის განმარტებით, გავრცელებულ სიუჟეტში, მეხრიშვილისვე განცხადებით, დაახლოებით, 5 თვის წინ მომხდარ ინციდენტზე იყო საუბარი, რომელიც თითქოს უკავშირდებოდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მის მონაწილეობას. დასახელებულ სიუჟეტში მას შესაბამისი განმარტებები არ გაუკეთებია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან კავშირის ეჭვის გამომწვევ გარემოებებზე და თუ ეს მართლაც ასე იყო, მუნიციპალიტეტისთვის გაუგებარია, 5 თვის განმავლობაში რატომ არ მიმართა მეხრიშვილმა შესაბამის ორგანოებს ან რატომ არ წარმოადგინა რაიმე მტკიცებულება. რაც შეეხება ზემოაღნიშნულ შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით „სამართლიანი არჩევნების" (ISFED) განცხადებას იმის შესახებ, რომ მათ საკრებულოს შენობაში შესვლის საშუალება არ მიეცათ, მუნიციპალიტეტი განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ შენობაში ან საკრებულოს აპარატში შესასვლელად საშვის დაშვების მოთხოვნით ზემოაღნიშნულ არასამთავრობო ორგანიზაციას არ მიუმართავს.

ხაშურის საკრებულოს თავმჯდომარის ცემაში დადანაშაულების ფაქტზე ისაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა, ბატონმა გოგა რაზმაძემაც. მისი თქმით, მეხრიშვილს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის არ მიუმართავს, თუმცა, სისხლის სამართლის პროცესის შესაბამისად, მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, 2021 წლის 30 ივლისს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონულ სამმართველოში დაიწყო გამოძიება ბატონი ზაზა მეხრიშვილის მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობის ფაქტზე სსკ-ის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით. უწყების წარმომადგენლის თქმით, ამ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეზე გამოიკითხნენ პირები, რომლებიც ფლობენ ინფორმაციას საქმის ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ, ბატონი ზაზა მეხრიშვილის მიმართ დანიშნულია სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა და ჩატარდა/ტარდება ყველა საჭირო საგამოძიებო საპროცესო მოქმედება. სიტყვით გამომსვლელის განმარტებით, ამ ეტაპზე ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება მიღებული არ არის და გრძელდება გამოძიება.

მთავარი პროკურორის მოადგილემ, ბატონმა გიორგი გაბიტაშვილმა, დაადასტურა შს სამინისტროს წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაცია მიმდინარე საპროცესო მოქმედებების თაობაზე და დამატებით განაცხადა, რომ დანაშაულის ჩამდენი კონკრეტული პირის გამოვლენისა და მის მიმართ დევნის დასაწყებად შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვების შემთხვევაში, საგამოძიებო მოქმედებების ამოწურვის შემდგომ, პროკურატურა დაუყოვნებლივ მოახდენს შესაბამის რეაგირებას.

მედიამონიტორინგის შედეგად გამოვლენილ შემდეგ ინფორმაციაზე სასაუბროდ (რუსთავის მერიის სოციალური მხარდაჭერის სამსახურის თანამშრომლის სამსახურიდან შესაძლო უკანონოდ გათავისუფლება) კომისიის თავმჯდომარემ სიტყვა კვლავ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელს გადასცა.

ბატონმა ნიკოლოზმა კომისიის სხდომაზე დამსწრე პირებს გააცნო მუნიციპალიტეტის პოზიცია, რომლის შესაბამისად, ინფორმაციაში აღნიშნული პირის (ნინო ქვირია) მიმართ დისციპლინური

წარმოება არ დაწყებულა გასულ თვეს ან წინასაარჩევნო პერიოდში – ეს პროცესი საკმაოდ ხანგრძლივად მიმდინარეობდა. 2020 წლის დეკემბერში დაიწყო დისციპლინური წარმოება ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მხარდაჭერის სამსახურში. წარმოების ფარგლებში დადგინდა მერიის შინაგანაწესით გათვალისწინებული ეთიკის ნორმებისა და ქცევის ზოგადი წესების უგულებელყოფა და დარღვევა, რის გამოც იმ პერიოდშივე ქალბატონ ნინოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრა გაფრთხილება. ამის შემდეგ, უკვე 2021 წლის მაისში, სამსახურებრივ მოვალეობათა განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობისათვის მერიის ზემოაღნიშნულ სამსახურშივე ნინო ქვირიას გამოეცხადა საყვედური; 2021 წლის ივლისში კი, მერიის შინაგანაწესით გათვალისწინებული ეთიკის ნორმებისა და ქცევის ზოგადი წესების კვლავ უგულებელყოფისა და სამსახურებრივ მოვალეობათა განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობის ფაქტზე დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის შესაბამისად, იგი გათავისუფლდა სამსახურიდან. როგორც ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 87-ე მუხლის შესაბამისად, დისციპლინური წარმოება კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით მიმდინარეობს და დამატებითი დეტალები მუნიციპალიტეტის მიერ არ არის წარმოდგენილი. დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირისთვის ზემოდასახელებული კანონის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ გადაცემულია წარმოების მასალები, მასვე განემარტა მითითებული გადაწყვეტილების დასაბუთებაც.

მედიამონიტორინგის შედეგად გამოვლენილ მომდევნო ინფორმაციაზე საუბრისას (გორში საჯარო მოხელეების სამუშაო საათებში დაბარება და მათთვის მერობის კანდიდატის წარდგენა) ბატონმა ნიკოლოზმა წარმოადგინა გორის მერიის განმარტება, რომლის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრში გამართულ პარტია „ქართული ოცნების" გორის მერობის კანდიდატის წარდგენის ღონისძიებას გორის მუნიციპალიტეტის მერიიდან იმ ეტაპზე მომუშავე არცერთი საჯარო მოხელე არ ესწრებოდა (თუკი ასეთი ვინმე იყო, მას სამსახურებრივი ურთიერთობა შეჩერებული ჰქონდა შვებულების სახით).

დმანისში სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით შესაძლო გათავისუფლებასთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მერის მიერ გათავისუფლებული ინფორმაციაში აღნიშნული პირები იყვნენ არა საჯარო მოხელეები ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები, არამედ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები. ამ პირთა მიერ დაწყებულია სამართლებრივი დავა – მერის გადაწყვეტილება გაასაჩივრეს სასამართლოში და მიმდინარეობს პროცესი.

ამავე მიზეზის შემცველ (გორის მერის მიერ მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე ოლეგ ხუბულურის სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევა) მეორე ინფორმაციასთან დაკავშირებით ბატონმა ნიკოლოზმა განაცხადა, რომ, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ ჩატარებული შემოწმების ფარგლებში, ოლეგ ხუბულურის საქმიანობის შემოწმების შემდგომ გამოიკვეთა ხუბულურის მიერ 2021 წელს 13, 14,

17 მაისს და სხვა დღეებში მუნიციპალიტეტის სამსახურში დაუსწრებლობა. ამასთან, შემოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ოლეგ ხუბულური სამსახურში არ იმყოფებოდა უშუალო ხელმძღვანელის თანხმობის გარეშე. წარმოდგენილია დისციპლინური საქმისწარმოების დასკვნაც. 2021 წლის ივლისში განხორციელებული შემოწმებით დადგინდა, რომ ხუბულური კვლავ არ იმყოფებოდა ადგილზე ხელმძღვანელთან შეთანხმების გარეშე. განმეორებითი გაფრთხილებების მიუხედავად, სამსახურში ოლეგ ხუბულური არასაპატიო მიზეზით რამდენიმეჯერ გამოუცხადებლის გამო, აუდიტის სამსახურის დასკვნის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამსახურიდან მისი გათავისუფლების შესახებ.

ამავე მიზეზით ბათუმში გათავისუფლების შემთხვევასთან დაკავშირებით საუბრისას (ბათუმის მერიის მუნიციპალური სერვისების ყოფილი უფროსის (აკაკი გვიანიძე) განცხადება მის მიერ თანამდებობის შესაძლო იძულებით დატოვების თაობაზე) ბატონმა ნიკოლოზმა ბათუმის მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღნიშნა, რომ ბატონი აკაკი გვიანიძის განცხადება არ შეესაბამება სიმართლეს – სინამდვილეში, მან სამსახური დატოვა პირადი განცხადების საფუძველზე. შესაბამისად, მედიით გავრცელებული ინფორმაცია ზუსტი არ არის.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს წარმომადგენლის მოსმენის შემდეგ ბატონმა რატიმ კომისიის წინაშე წამოჭრა საკითხი – უმჯობესი ხომ არ იქნებოდა, მედიით გავრცელებული სხვადასხვა დარღვევის შესახებ, ადმინისტრაციული ორგანოს გარდა, უწყებათაშორისი კომისიის მხრიდან კომუნიკაცია შედგეს ე.წ. დაზარალებულთანაც (მაგალითად, სამსახურიდან პოლიტიკური ნიშნით შესაძლო გათავისუფლების შემთხვევაში), რათა სხდომებზე ნებისმიერი ინფორმაცია განხილულ იქნეს სრულად, ორივე მხარის არგუმენტების გაცნობით.

კომისიის წევრები დაეთანხმნენ ბატონ რატის და გადაწყდა, რომ უწყებათაშორისი კომისიის სამდივნოს მიერ უშუალოდ წყაროსთან ფაქტების შესაძლებლობის ფარგლებში გადამოწმების შემდეგ ინფორმაცია რეაგირებისთვის დაეგზავნოთ კომისიაში შემავალ უწყებებს.

ფოთის შემთხვევასთან დაკავშირებით (ბატონი მინდია ბარამიას ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის“ ქუჩების მოვლა-პატრონობისა და კეთილმოწყობის განყოფილების უფროსის პოზიციიდან გათავისუფლება) ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა განაცხადა, რომ მინდია ბარამია თანამდებობიდან გათავისუფლდა „საქართველოს შრომის კოდექსის“ 47-ე მუხლის შესაბამისად (დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით, ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევა). სიტყვით გამომსვლელის თქმით, მინდია ბარამიას განყოფილების თანამშრომელი ხვიჩა დოლბაია დასაქმებული იყო ორ არასამეწარმეო იურიდიულ პირში, სადაც სამუშაო რეჟიმი განესაზღვრა ერთნაირად. მინდია ბარამიასთვის არაერთხელ მიცემული სიტყვიერი გაფრთხილების მუხედავად, მის დაქვემდებარებაში მყოფ ხვიჩა დოლბაიას მიერ სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვან შესრულებასთან დაკავშირებით, დარღვევა არ აღმოფხვრილა. ამდენად, მინდია ბარამია ა(ა)იპ ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრის“ ქუჩების მოვლა-პატრონობისა და კეთილმოწყობის

სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლდა მოქმედი კანონმდებლობის და შინაგანაწესის სრული დაცვით. ამ შემთხვევაშიც სამსახურიდან გათავისუფლებისას ზემოაღნიშნული პირის მიმართ არანაირ პოლიტიკურ მოტივაციას ადგილი არ ჰქონია.

ბატონი ნიკოლოზ როსებაშვილის განმარტებით, სამსახურიდან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების/წასვლის იძულებას არც ქუთაისის მუნიციპალიტეტის შემთხვევში ჰქონია ადგილი. მისი თქმით, 2020 წლის 20 მაისს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს, მერის მოვალეობის შემსრულებელსა და გიორგი მუქერიას შორის გაფორმდა ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლითაც გიორგი მუქერია დაინიშნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის სულხან-საბას ადმინისტრაციულ ერთეულში. როგორც სიტყვით გამომსვლელმა აღნიშნა, საქართველოს კანონმდებლობისა და „საქართველოს თვითმმართველობის კოდექსის" თანახმად, მერის წარმომადგენელი ინიშნება ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე; ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2020 წლის 18 აგვისტომდე; ამასთან, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ვადა 2020 წლის 18 აგვისტოდან გაგრძელდა 2020 წლის 2 დეკემბრამდე; შემდგომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების ვადა 2020 წლის 2 დეკემბრიდან გაგრძელდა 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და ბოლო ხელშეკრულება გაფორმდა 2021 წლის 01 იანვრიდან, რომელიც გაგრძელდა 2021 წლის 01 დეკემბრამდე.

ბატონი ნიკოლოზის განმარტებით, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 81-ე მუხლის მე-2 პუნქტზე დაყრდნობით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების მოქმედების ვადა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირის უფლებამოსილების ვადას, ხოლო ამ კანონის 78-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირის შემთხვევაში – შესაბამისი მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილების ვადას. მისივე თქმით, მერის დამხმარე ფუნქციის მატარებელი არის მერის წარმომადგენლის პოზიცია. მუნიციპალიტეტის მერს უფლება აქვს, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით აიყვანოს პირი არაუმეტეს მისი უფლებამოსილების ვადით და, ასევე, შეწყვიტოს მასთან ადმინისტრაციული ხელშეკრულება. შესაბამისად, აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტმა და თანამდებობის პირმა იმოქმედეს ამ ნორმების დაცვით და გიორგი მუქერიას შეუწყდა ადმინისტრაციული ხელშეკრულება.

ბატონმა ნიკოლოზმა წყალტუბოს შემთხვევასთან მიმართებით (სამსახურიდან სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლება/წასვლის იძულება) აღნიშნა, რომ 16 ივლისის ფაქტთან დაკავშირებით (საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წყალტუბოს სერვისცენტრის საწყობის გამგე პაპუნა ასათიანს სამსახურის უფროსმა გია ბასილაძემ სამსახურიდან წასვლა მოსთხოვა, მიზეზად კი, შვილის პოლიტიკური არჩევანი დაუსახელა) საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიაში მიმდინარეობს შიდა მოკვლევა და შემდეგ სხდომაზე კომისიის წევრებს გააცნობს მოკვლევის დასკვნას.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შემთხვევასთან დაკავშირებით ბატონმა ნიკოლოზმა განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანო – ახალგაზრდული საბჭო ირჩევა 1 წლის ვადით და კომპლექტდება

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 16 ადმინისტრაციული ერთეულიდან წარმოდგენილი 14-29 წლის ასაკის მქონე 19 ახალგაზრდის შემადგენლობით. საბჭოს შექმნის მიზანია ახალგაზრდული ინიციატივების განხილვა და სხვ. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ბრძანებით 2021 წლის მარტში შექმნილი კანდიდატთა შესარჩევი კომისიის საქმიანობაში ჩართული იყო ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია „სასოფლო დარბაზის" წარმომადგენელი (ერთდროულად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მოქმედი ოპოზიციონერი წევრი „ევროპული საქართველოდან"), რომელმაც უშუალოდ მონაწილეობა მიიღო კანდიდატთა შეფასების ფორმის შემუშავებაში და ესწრებოდა თითოეულ გასაუბრებას. ბატონი ნიკოლოზის თქმით, შეფასების ფორმა და გასაუბრების დროს დასმული კითხვები არ იძლეოდა კანდიდატების პოლიტიკური ნიშნით შერჩევის შესაძლებლობას, ამასთან, კონკურსანტთა უმრავლესობას წარმოადგენდნენ სკოლის მოსწავლეები. მედიით გავრცელებული ინფორმაცია საპირისპიროს ასახავს და არანაირად არ შეესაბამება რეალობას, რადგან, ბატონი ნიკოლოზის ხაზგასმით, მუნიციპალიტეტში მოქმედებს მსგავსი საბჭო და არჩევის პროცედურები განსაზღვრულია დებულებით.

შუახევის შემთხვევა ეხებოდა ბაღის თანამშრომლების ხელფასების ზრდას (უშუალოდ ფაქტზე საუბრის დაწყებამდე ბატონმა გიორგიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სხვადასხვა მუნიციპალიტეტში ბოლო ორი-სამი წლის განმავლობაში ბაღის თანამშრომლების ხელფასების მატება ეტაპობრივად მიმდინარეობდა). სიტყვით გამომსვლელმა აღნიშნა, რომ შუახევის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების თანამშრომლებმა მიმდინარე წლის 23 ივლისიდან მიიღეს გაზრდილი ხელფასი (ხელშეკრულებებში ცვლილებები შევიდა პირველ ივლისს); შესაბამისად, ხელფასები გაიზარდა საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე. მეტიც, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მიზნებიდან გამომდინარე, შუახევის მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული გადაწყვეტილება, რომელიც მოიცავდა ა(ა)იპ-ებისთვის, ბაღების გაერთიანებისთვის სუბსიდიების გაზრდას, მიღებულ იქნა წლის დასაწყისში ბიუჯეტის დაგეგმვისას. შესაბამისად, საარჩევნო კოდექსის დარღვევის ფაქტი არ ყოფილა.

ფოთის მუნიციპალიტეტში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით ბატონმა ნიკოლოზმა განაცხადა, რომ, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის მოთხოვნის საფუძველზე, „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამის დადგენილებაში (23.12.2020) გათვალისწინებულ იქნა პროგრამა, რომელიც მოიცავდა განსაკუთრებულად მძიმე საცხოვრებელ პირობებში, ასევე, უბედური შემთხვევებისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის ერთჯერად დახმარებას. ამ პროგრამით კონკრეტულად 2021 წლისთვის განსაზღვრული (2020 წლის გადაწყვეტილებით) 50 000 ლარი გამიზნული იყო ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარებისათვის, ასევე, სამშენებლო მასალით უზრუნველყოფისათვის. 2021 წლის 15 ივნისს შესაბამისი კომისიის მიერ განხილულ იქნა მუნიციპალიტეტში შემოსული მოქალაქეთა განცხადებები, საიდანაც დაკმაყოფილდა 23 განცხადება, შემდეგ კი, გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი. პირველი ტენდერი ჩაიშალა, 2 ივლისს განმეორებით გამოცხადებული ტენდერის (ხის მასალები, შიფერი) შედეგად გამოვლენილმა გამარჯვებულმა კომპანიამ ხე-

მასალა და შიფერი გადასცა ზემოაღნიშნულ 23 განმცხადებელს. დაზარალებული მოსახლეობისათვის შემოტანილ განცხადებათა საფუძველზე კვლავ შეიქმნა სამშენებლო მასალების შესყიდვის საჭიროება (2021 წლის 29 ივლისს განხილულ და დაკმაყოფილებულ იქნა 30 განცხადება). 2 აგვისტოს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში წინადადებების მიღება კვლავ გრძელდება. ზემოთქმულის გათვალისწინებით, ბატონმა ნიკოლოზმა ხაზი გაუსვა, რომ ეს პროგრამა გაწერილი იყო წლის დასაწყისიდან, რომელიც ეტაპობრივად სრულდება საჭიროებებიდან გამომდინარე.

კომისიის თავმჯდომარე შეეხო შემდეგ განსახილველ საკითხს მმართველი პარტიის კანდიდატების 19 ივლისის არაოფიციალურ კამპანიასთან დაკავშირებით (ჩოხატაურის მაჟორიტარი დეპუტატის, ვასილ ჩიგოგიძის, „ფეისბუქის" პირად გვერდზე გამოქვეყნდა პოსტი და ფოტოები, რომლის მიხედვითაც, ჩოხატაურში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ და სხვადასხვა საჭიროების მქონე ოჯახებს სასურსათო პროდუქტები გადაეცათ). სასაჩუქრე პაკეტების გადაცემაში მონაწილეობდა „ქართული ოცნების" ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი და მერობის კანდიდატი დავით შარაშიძე. აღნიშნულ საკითხზე ბატონი ნიკოლოზ როსებაშვილი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტიდან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კომისიის წევრებს ესაუბრა 2021 წლის 30 ივლისს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის პარტია „ქართული ოცნების" მიერ გამართული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატ დავით შარაშიძის წარდგენის შესახებ. ბატონმა ნიკოლოზმა ხაზი გაუსვა პრეზიდენტის 2021 წლის 2 აგვისტოს განკარგულების შესაბამისად დანიშნულ არჩევნებს და აღნიშნა, რომ, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 45-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, წინასაარჩევნო კამპანია 60 დღით ადრე იწყება. შესაბამისად, ზემომითითებული ფაქტები საარჩევნო კამპანიის ფორმატში არ თავსდებოდა და ეს იყო თავად ბატონი ვასილ ჩიგოგიძის მიერ ინდივიდუალურად მიღებული გადაწყვეტილება ამგვარი შეხვედრის ჩატარების თაობაზე. როგორც მან აღნიშნა, ზემოხსენებული ღონისძიება „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" სრული დაცვით და ვადების გათვალისწინებით ჩატარდა. ამასთან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსმა განმარტა, რომ დავით შარაშიძე არის ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, მუნიციპალიტეტის ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, პოლიტიკური თანამდებობის პირი და 2021 წლის 19 ივლისს განხორციელებული აქტივობა არ წარმოადგენს „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მოთხოვნათა დარღვევას.

ზემოაღნიშნულ საკითხთან ერთად ბატონმა ნიკოლოზმა განიხილა ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მომხდარი ფაქტი მმართველი პარტიის კანდიდატების არაოფიციალურ კამპანიასთან დაკავშირებით. მისი თქმით, აღნიშნული აქტივობა განხორციელდა 2021 წლის 18 ივნისს, წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებამდე. ამ დროისთვის ბატონი კობა ლურსმანაშვილი, რომელიც განცხადებაშია მოხსენიებული, კანდიდატი და მოქმედი მერი, წარდგენილი არ ყოფილა. იგი წარდგენილ იქნა 30 ივნისს, ამ შემთხვევაშიც საარჩევნო კამპანიის დაწყებამდე. ბატონი ნიკოლოზის თქმით, საკითხთან დაკავშირებით ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზეც იყო განთავსებული და მსგავსი ხასიათის ღონისძიებებს

მუნიციპალიტეტები ყოველწლიურად ატარებენ (წიგნებისა თუ სასწავლო მასალების გადაცემა წარმატებული მოსწავლეებისთვის, როგორც წესი, მუნიციპალიტეტებს ბიუჯეტით აქვთ გათვალისწინებული წლის დასაწყისში).

მედიამონიტორინგის შედეგად მოპოვებული ბოლო საკითხი ეხებოდა მმართველი პარტიის კანდიდატების არაოფიციალურ კამპანიას ფოთის მუნიციპალიტეტში. ბატონი ნიკოლოზ როსებაშვილის განმარტებით, ეს შემთხვევაც ზემოგანხილული საკითხების იდენტურია და საუბარია წინასაარჩევნო კამპანიაზე. მისი განცხადებით, ამ შემთხვევაში ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბექა ვაჭარაძე და ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები ალექსანდრე ტყებუჩავა, მამუკა პაპასკირი, ზაქარია გვრიტიშვილი და ფოთის მუნიციპალიტეტის, ფოთის, ხობის, სენაკის მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი ხახუბია ქალაქ ფოთის კულტურისა და დასვენების პარკში მიმდინარე ღონისძიებას ესწრებოდნენ არასაარჩევნო კამპანიის პერიოდში. როგორც ბატონმა ნიკოლოზმა განაცხადა, ზემომითითებულ პოლიტიკური თანამდებობის პირებს საარჩევნო კამპანიის დროსაც აქვთ ღონისძიებაზე დასწრების უფლებამოსილება. აქ კი, ეს პირები 31 ივლისის ღონისძიებას, უბრალოდ, ესწრებოდნენ.

კომისიის თავმჯდომარემ მედიამონიტორინგის განხილვის დასრულების შემდეგ მიმართა კომისიის წევრებს, ხომ არ ჰქონდათ რაიმე წინადადება ან შეკითხვა განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. შემდგომ ბატონმა რატიმ სიტყვა გადასცა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოძიების ხარისხის მონიტორინგის რეგიონული სამმართველოს უფროსს, ბატონ გოგა რაზმაძეს.

ბატონმა გოგამ სხდომაზე განაცხადა, რომ 2021 წლის 6 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შევიდა ინფორმაცია კომისიისგან ვაკის რაიონში ჭავჭავაძის გამზირზე ერთ-ერთი ოპოზიციური პარტიის ოფისის დაზიანების ფაქტზე, თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე იმავე დღეს დაიწყო გამოძიება პოლიტიკური პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ოფისის გარე ფასადის მინის დაზიანების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული სსკ 187-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც გულისხმობს ნივთის განზრახ დაზიანებას ან/და განადგურებას. როგორც ბატონმა გოგამ აღნიშნა, კონკრეტული სისხლის სამართლის საქმეზე გამოიკითხნენ აღნიშნულ საქმეზე ინფორმაციის მფლობელი პირები, ამასთან, ზარალის დათვლის მიზნით დაინიშნა ექსპერტიზა (მიღებული ზიანი არის 120 ლარის ღირებულების). როგორც ბატონმა გოგამ განაცხადა, აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე კონკრეტული გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის და გრძელდება გამოძიება.

კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ბატონ გოგას ინფორმაციის მოწოდებისთვის და სიტყვა გადასცა კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილეს, ბატონ თორნიკე ჭეიშვილს.

ბატონმა თორნიკემ კითხვით მიმართა ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენელს წინასაარჩევნოდ სოციალური ქსელების პირადი ანგარიშების გამოყენებასთან დაკავშირებით. როგორც ბატონმა თორნიკემ აღნიშნა, პრაქტიკიდან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხთან

დაკავშირებით, გაფორმებული იყო მემორანდუმი. ბატონი თორნიკე დაინტერესდა, თუ რა ტენდენციებია წელს ამ საკითხთან დაკავშირებით, რა იგეგმება და რამდენად შეიძლება ჩაითვალოს საჯარო მოსამსახურის მიერ პირად სოციალურ ქსელში პირობითად გაზიარებული არჩევნების თემატიკიდან გამომდინარე რაიმე ინფორმაცია აგიტაციად.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის, ბატონი გიორგი სანტურიანის, განცხადებით, წინა მემორანდუმი არეგულირებდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების საკითხს. ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, რომ მიმდინარე წელსაც იგეგმება მსგავსი მემორანდუმის გაფორმება. ცესკო-ს წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ სოციალური ქსელებით აგიტაციის საკითხს კანონმდებელი პირდაპირ არ არეგულირებს. საპარლამენტო განხილვების დროსაც და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვა ჩართული მხარეები აყენებდნენ ამ საკითხს, რომ კანონმდებლობით პირდაპირ დარეგულირებულიყო მითითებული საკითხი, თუმცა, აღნიშნული ჩანაწერი კანონმდებლობაში არ აისახა. ბატონი გიორგის თქმით, ბევრი პრობლემური თემაა, თუნდაც, ადმინისტრირების კუთხით, როგორ უნდა მოხდეს, მაგალითად, ამ საკითხის რეგულირება. შესაბამისად, 2018 და 2020 წლებში მემორანდუმში გაჩნდა შემდეგი ჩანაწერი: თუ ხდებოდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება, მაგალითად, თუნდაც, მუნიციპალიტეტის ორგანოების სოციალური ქსელების მეშვეობით, ასეთ შემთხვევაში ჩაითვლებოდა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებად. ცესკო-ს წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მითითებულ საკითხს კანონმდებლობა არ არეგულირებს და, ამასთან, მიმდინარე წინასაარჩევნო პერიოდში არცერთი საჩივარი სოციალურ ქსელებთან დაკავშირებით არ ფიქსირდება. რა თქმა უნდა, ცესკო-ს რეკომენდაცია იქნება, არ იქნეს პირადი სოციალური ქსელები გამოყენებული აგიტაციისთვის, თუმცა, ცესკო წინა წლებში მსგავს ქმედებას კანონმდებლობის დარღვევად არ მიიჩნევდა.

კომისიის თავმჯდომარემ და კომისიის წევრებმა განიხილეს საარჩევნო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების გათვალისწინებით ახალი რეკომენდაციის მომზადების საკითხი, რომელიც შემდგომში გადაეგზავნებათ სახელმწიფო უწყებებში დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეებს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციის მიზნით.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე უწყებების წარმომადგენლებს სხდომის მუშაობაში ონლაინ რეჟიმში ჩართვისთვის.

სხდომა დასრულდა 17:25 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის მდივანი: